№ 190

პარასკევი, 1 სექტემბერი, 1900 წ.

ივ 1877—1900

# ივერია

№ 190

პარასკევი, 1 სექტემბერი, 1900 წ.

**გაზეთის ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მ. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—**ერთი** შაური

„ივერიის“ ტელეფონი 27

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად**
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

**ფასი განცხადებისა:**
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.



განსვენება მიცვალებულის

## დეკანოზის გრიგოლ ღამბა-რაშვილისა

ტფილისიდან ქ. გორში დანიშნულია დღეს, 1 სექტემბერს, 12 საათზე, პანაშვიდის შემდეგ, რომელიც გარდახდილ იქნება ბაქოს (ასათიანოვის) ქუჩაზე, მარიამ ტატიშვილის სახლში—ხოლო დასაფლავება ხვალ, 2 ამა სექტემბერს, ქ. გორში ოქონის ეკკლესიის გალავანში. (2—170—1)

## სკოლა და პანსიონი

### ა. ა. მამულაიშვილისა

ამზადებს ყმაწვილებს გიმნაზიის, რეალურ, კომერციულ და სხვა სასწავლებლების მოსამზადებელ და პირველ კლასებისათვის. ყმაწვლების მიღება—30 აგვისტოდგან

ადრესი: ოლგინის ქუჩა (Ольгинская), სახლი გოგნიევისა, ზემელის აფთიქის მახლობლად. (5—5)

გამგეობა 1827 წ. დაარსებულ რუსეთის პირველ

## დამზღვევ საზოგადოებისა

აუწყებს ყველას, რომ სოლომონ ავეტის ძე ყაზაროვი ამ საზოგადოების აგენტად აღარ იმყოფება. ამ ჟამად **ქ. ტფილისში დაარსებულია მთავარი სააგენტო** ტფილისისა, ერევნისა, განჯის გუბერნიისა და ყარსის ოლქისათვის, **რომელსაც განაგებს** გრიგოლ ადამის ძე **ყარანგოზიშვილი**; ყარანგოზიშვილს საზოგადოების გამგეობის მიერ მინდობილი აქვს:

1) **დაიზღვიოს ცეცხლის წინააღმდეგ ყოველგვარი ქონება** და
2) **დააზღვიოს აგრეთვე ყოველგვარ უბედურ შემთხვევისაგან**, სახელდობრ:

ა) უბედურ შემთხვევისაგან ერთობლივი დაზღვევა მუშებისა და მსახურთა ფაბრიკებს, ქარხნებსა და სხვა სამრეწველოებში;

ბ) დაზღვევა ყოველგვარ კერძო ადამიანებისა უბედურ შემთხვევისაგან, პრემიის უკან დაბრუნებითა და დაუბრუნებლივა და

გ) დაზღვევა მგზავრებისა რკინის გზებსა და წყალში მოსალოდნელ უბედურებისაგან; ამ შემთხვევაში პრემია მხოლოდ ერთხელ უნდა იქმნეს გადებული, თითონ დაზღვევის დროს.

მთავარ სააგენტოს სადგომი ქ. ტფილისში სოლოლაკისა და სერგიევსკის ქ. კუთხეშია, მირზოევის სახლი № 1. (3—170—1)

## აბრეშუმის ქსოვილები

ქუთაისის გუბერნიის მეაბრეშუმეთა პირველ ამხანაგობისა.—**ცხვირსახოცები, შარფები**, თეთრი და ფერადი ქსოვილები **ქალისა და კაცის** ტანისამოსის ისე **სარჩულები**. აჰრვის როკოკოცია-ში ო იყიდება ქუთაისში, წერეთლიაბიო ნთსო და **საპირე**,ი გნის მაღაზიფწთბით.

(50—ნ.—22) მმარ. ამხ. ნ. წერეთელი

ვისაც რაიმე საქმე აქვს პარიჟის მსოფლიო გამოფენაზედ ნაწარმოებთა ანუ ბუნებით სიმდიდრის შესახებ **ქართველთა მემამულეთაგანს**, ვთხოვთ მიჰმართონ **რაფაელ ისარლოვს**, ქართველთა მემამულეთა წარმომადგენელს პარიჟის გამოფენაზედ.

Raphaël Isarloff Paris, rue des Ecoles, 40. (16—ნ.—9)

მასწავლებელ ქალთა საზოგადოების

## სკოლაში

დაიწყო ორივე სქესის მოწაფეთა მიღება 25-ს აგვისტოდგან. სკოლაში ორი განყოფილებაა (ქართული და სომხური) იმ მოსწავლეთათვის, რომელთაც რუსული არ ესმით, და სამი განყოფილებაც რუსული. სკოლა იმყოფება ლერმონტოვისა და გუდოვიჩის ქუჩების კუთხეში. სახლი საგარდა-პოსერბსკისა, № 12. (5—უ.—2)

ბ ე ბ ი ა - ქ ა ლ ი

## რ. ბ. ნუდელმანი

რჩევას აძლევს ფეხმძიმეთა და შვილოსნობით ავადმყოფთ.

ელისაბედის ქ., სახლი № 31. (3—169—3)

## პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ) ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**გ. ა. ნავასარდიანი**, 11—12 საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**ძ. მ. ჩიქოვანი**. 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი **და ნერვებისა**.

**ზ. ი. ბაბანასიანცი**—დილის 11—12 ს. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

**ი. თ. პროტასევიჩი**. 12—1 ს. ყურისა, ყელისა, ცხვირისა და გულის ავადმყოფობისა.

**ა. ჰ. ქარაპეტიანცი** 1—1½ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

**ი. თ. პროტასევიჩი**—5—6 საათამდე.

**ა. ნ. შპაკოვსკი**—6—7 საათ. ნერვებით ავადმყოფთა (ელექტრო ტერაპ.) და ვენერიულ და კანის სენით ავადმყოფთ.

**გ. ა. ნავასარდიანი**. 7½—8 ს. რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

**ო. ტ. არვანიტაკი**—11—1 ს. გაეკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს სამკურნ. გიმნასტიკას ექიმების დანიშვნით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана.*

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.

## ტფილისის კერძო სამკურნალო

მკურნალის

მიხეილ გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე კვირა დღეების გარდა

**დილით:**

**ვ. ი. ჭიჭინაძე**.—კბილის სნეულებანი. 8—10 საათ.

**ი. პ. ახალშენიშვილი**, კბილის სნეულებანი, 10—2—მდის.

**მ. ა. პოკროვსკი**—შინაგანი, ბავშვებისა, ბავშვებისათვის ყვავილის აცრა და ქიმიო-მიკროსკოპიული გამოკვლევანი 10—11 საათ.

**მიხეილ გედევანიშვილი**—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—11—12 საათ.

**ნ. ტ. მულინი**—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—11—12 საათ.

**მ. გ. წერეთელი**, 12—1 ს. შინაგანი და ბავშვებისა.

**ა. ნ. შატილოვი**—თვალისა 12 ნ—1 საათ.

**მ. ლ. მარკევიჩი**—12½—1½ საათ. სადოსტაქრო.

**ი. დ. გეგთაგეგოვი**—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—11½—12½ საათ.

**საღამოთი:**

**დ. ა. გედევანიშვილი**—ნერვებისა და შინაგანი—5—6 სასაათ.

**ი. ნ. თუმანიშვილი**—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები და კაბინეტი ბაქტერიოლოგიურ და მიკროსკოპიულ გამოკვლევათათვის.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები—მორიგებით. კრაოტი 4 მ. დღე და ღამეში. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

ქუჩა, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი სვანიშვილისა, № 21 (გარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

დირექტორი სამკურნალოსი **მიხეილ გედევანიშვილი**


## ახალი ამბავი

*** ამას წინად ხმა გავრცელდა, რომ ახალქალაქის მაზრას მეორე უბედურება თავს დატყდა, რადგანაც იქაურ ნათეს ყანაში ხორბლეულობას გაუჩნდა ერთგვარი მწერი, ესრედ წოდებული გოტენტოტური ბაღლინჯო და ბოგანო, რომლისაგანაც ნათესობა მთლად განადგურებულია. ადგილობრივ ამ ხმის შესამოწმებლად მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს კავკასიის რწმუნებულმა ბ-ნმა მედვედევმა გაგზავნა მეურნე ბ-ნი საკოვი, რომელსაც დაუვლია ახალქალაქის მაზრაში 45 სოფელი, სადაც ნათესობა მეტად გაფუჭებულია თურმე ამ მწერებისაგან. განსაკუთრებით 24 სოფლის ყანები ისეა თურმე გახრებული, რომ ერთ ლუკმა საზრდოს არ მოელიან ადგილობრივნი მცხოვრებნი. სწორედ რომ მეტად უნუგეშო მდგომარეობა მოელის უპურობით ამ სოფლების 17,612 სულს ორივე სქესისას და მათს შინაურს პირუტყვებს უსაკვებობით. ამისათვის ბ-ნს საკოვს განცხადება შეუტანია კავკასიის საიმპერატორო სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭოში და სთხოვს საბჭოს, რომ მალე იქმნას დანიშნული საზოგადოების წევრთა საზოგადო კრება, რომელმაც უნდა განიხილოს მისი მოხსენება, რომ რაიმე ზომები იქმნეს მიღებული ახალქალაქის მაზრის მცხოვრებთა მოუსავლობისაგან უზრუნველ საყოფელად.

*** 1901 წელში გასამართავად განზრახულ სასოფლო-სამეურნეო გამოფენის გეგმის შემმუშავებელ კომისიის წევრებად დანიშნულ იქმნენ კავკასიის ოლქის გზათა უწყების სამუშაოთა უფროსი ინსპექტორი დ. ს. ს. ინჟენერი ტულოვსკი, ტფილისის პირუტყვთა მფარველ საზოგადოებისაგან ფ. ვ. ლისიცინი და პ. ი. სალამბეკოვი; ერევნის ქალაქის მოურავი ბ-ნი მელიკ-აგამალოვი; „ქარ. შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებიდგან ბ ნი ჰყონია და ზურაბიშვილი და ტფილისის სამეურნეო ბანკის დირექტორი თავ. ვ. ს. მიქელაძე.

*** ტფილისში მყოფ ავსტრო-უნგრეთის საელჩომ შემოუთვალა კავკასიის საიმპერატორო სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებას, რომ რადგანაც ქუთაისის გუბერნიაში დიდი მოთხოვნილებაა ამერიკულ ვაზისა, საჭიროა ამ ვაზის მსყიდველთა ყურადღება მივაქციოთ იმ გარემოებას, რომ მათ შეუძლიანთ კარგის პირობებით შეიძინონ მშვენიერი თვისების ამერიკული ვაზის ნერგები უნგრეთის სანერგეებიდგანაო. ვინც მოისურვებს დაწვრილებითს ცნობებს ნერგის ფასისა, ვაზის თვისებისა და სხვათა შესახებ, მიიღებს ავსტრო-უნგრეთის მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროსაგანაო.

*** კადეტთა კორპუსებისათვის ამ ჟამად უკვე შემუშავებულია ახალი პროგრამები, რომლებიც მალე სამხედრო სასწავლებლების მთავარ სამმართველოს წარედგინება დასამტკიცებლად.

*** გამოქვეყნებულია უმაღლესად დამტკიცებული აზრი სახელმწიფო საბჭოსი იმის შესახებ, რომ საერო სასწავლებლებისათვის დირექტორებისა და ინსპექტორების ახალი თანამდებობანი იქმნენ დაწესებულნი და თითოეულს ამათგანს თავისი კანცელარია ჰქონდეს.

*** უმაღლესად დამტკიცებულის მინისტრთა კომიტეტის დებულებით, მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრს უფლება ეძლევა, დროებით, საჯარო ვაჭრობის მოუხდენელად მისცეს ხოლმე დასამუშავებლადა და ნავთის ამოსაღებად ის მიწები, რომლებშიაც ნავთი უნდა იყოს, მაგრამ ჯერ-კი არ ამოდის, მაგალითად, არა აფშერონის ნახევარ კუნძულზედ, სადაც ნავთი უკვე ამოდის. ეს მიწები მსურველთ დროებით არსებულის წესით მიეცემათ,—მაგალითად,დადგენილია, რომ გირაოდ უთუოდ 5-დგან 50 ათას მანეთამდე ფული წარადგინონ და გადაჭრილ ვადაზედ დაიწყონ ნავთის წყაროების თხრა; მოხსენებულია აგრეთვე ზოგიერთი სხვა უსაჭიროესი პირობებიც. იმ შემთხვევაში, თუ რომ მართლა გაცემულს მიწაში ნავთი აღმოჩნდება, იჯარის ვადის გასვლის შემდეგ მიწა მხოლოდ საჯარო ვაჭრობით-ღა გაიცემა.

*** სავაჭრო-სამეურნეო უფროსს ზედამხედველს ბ-ნს ჯაბადარს ქალაქის გამგეობაში წინადადება წარუდგენია, რომ ნახშირი ამას იქით წონითა ჰყიდონ ხოლმე და ამასთან სხვილი და დაფხვნილი ნახშირი ერთმანერთს არ შეურიონ.

*** როგორც ბათუმიდგან იუწყებიან, იქ რაღაცა ავადმყოფობა გაჩენილა, რომელიც შუცლის სახადს ძალიან თურმე ჰგავს. იგივე ავადმყოფობა ბათუმის მახლობლად მდებარე სოფლებშიაც არის გავრცელებულიო.

*** სამოსწავლო უწყების მიერ დამტკიცებულ იქმნენ ქალაქის სკოლებში მასწავლებლების თანამდებობის აღმასრულებლებად: 1) ავლაბრის ერეკლეს სახელობის მე-2 სკოლაში პარუნ-სარქისოვისა; 2) ავლაბრის 1 სკოლაში ქ-ნი ჭილიაევა; 3) ე. მ. კადანთაროვი ავლაბრის ერეკლეს სახელობის მე-2 სკოლაში; 4) მ. ი. კრუშენიკოვა ავლაბ-

რის მე-3 სკოლაში, 5) ნ. მ. ათანასიევი ვერის მეორე სკოლაში; 6) პ. ა. ბაღდანოვი ვერის 1 სკოლაში; 7) ს. თ. ნასიძე დიდუბის ეკკლეს სახელობის სკოლაში; 8) ტ. გ. კოშელოვი ავლაბრის პირველ-დაწყებით სკოლაში; 9) ჩილოვისა ვერის მე-3 სკოლაში; 10) ე. ზ. ნიკოლაძე ბელინსკის სახელობის მე-3 კუკიის სკოლაში 11) ა. გ. გრიქუროვი ვერის ეკკლეს სახელობის მეორე სკოლაში; 12) ხმიადაშვილი ამაღლების სკოლაში, 13) ალიბეგოვი ავლაბრის 1 სკოლაში და 14) ჩიქოვანი ახლად დაარსებულ ხარფუხის სკოლის გამგედ; ეს მასწავლებელნი დამტკიცებულ იქმნებიან თვის თანამდებობაში მხოლოდ ერთის წლის შემდეგ. შაბათს, 2 სექტემბერს, ყველა ესენი უნდა შეიკრიბნენ ვერის 1 სკოლის დარბაზში (ჭავჭავაძის ქუჩა, სახლი № 13) საღამოს 7 საათზედ, სადაც იგინი მიიღებენ საჭირო დარიგებას.

*** ქ. გორი. 29 აგვისტოს, საღამოთი, აქ შემდეგი უბედურება დატრიალდა: მტკვარში ბანაობის დროს დაიხრჩო ადგილობრივ სასულიერო სასწავლებლის პირველი კლასის მოსწავლე იაკობ კაპანაძე, 13 წლისა. მთავრობამ საჭირო ზომები მიიღო, მაგრამ დამხრჩვალის გვამი ჯერ-ჯერობით ვერ უპოვნიათ.

*** სამეგრელო. იშვიათია ამ ჟამად მთელს სამეგრელოში ისეთი სოფელი, რომ ეგრედ წოდებული „მუცელკეთილა“ არ იყოს გავრცელებული. უფრო-კი პატარა ბავშვებს გაავლო მუსრი. სულ ცოტა რომ ვიანგარიშოთ, ამ სენით წელს მთელს სამეგრელოს 200 სული დააკლდა დიდი თუ პატარა. ყოფილა ისეთი შემთხვევებიც, რომ ერთის ოჯახიდგან ორი სამი მიცვალებული გაუტანიათ. სენს უფრო ავრცელებს ჯერ შემოუსვლელ და უდროვოდ ხილის ჭამა.

წრევანდელ ჭირნახულის შესახებ ჯერ არა გვეთქმის რა. საზოგადოდ ცუდს მოსავალს მოელიან...

*** სოფ. თეკლათი (სენაკის მაზრა). სოფ. თეკლათის საზოგადოებაში კარგი მოსავალი იცის ჭირნახულმა. წრევანდელი მოსავალი ჯერ-ჯერობით ვერაფერს იმედს აძლევს მხვნელ-მთესვულ მუშა-კაცს. მიზეზი ამისი ის არის, რომ მთელის ივლისის თვის განმავლობაში განუწყვეტელი წვიმები იყო, რომელმაც ჯეჯილი აათოა. კვლავ ამ დროს ნახევრამდე ხმელი იყო სიმინდეი; წელს კი ტაროც პატარაა და როდის იქნება მოსატეხი, ღმერთმა უწყის. ამ თვის 6-დგან ჭაერი აცივდა; ამის გამო დროზედ არაფერი აღარ შემოდის..

---

## ქალაქ ტფილისის ხელოსანთა დეპუტატების კრება.

სამშაბათს, 29 აგვისტოს, ქალაქის საბჭოს დარბაზში, კრება ჰქონდათ ქალაქის ხელოსანთა დეპუტატებს სახელოსნო გამგეობის ანგარიშისა (1897 წლის 18 ნოემბრიდგან 1900 წლის 1 იანვრამდე) და ამა 1900 წლის ხარჯთ-აღრიცხვის განსახილველად და სარევიზიო კომისიის ვრცელის მოხსენების მოსასმენად. კრება დაიწყო ხელოსანთა მოურავის სეროზიანცის თავმჯდომარეობით 12 საათზედ; დაესწრო 200 დეპუტატიდგან 79-მდე. როგორც კრებაზედ წაკითხულ ხარჯთ-აღრიცხვიდგანა სჩანს, 1897 წლის 18 ნოემბრიდგან 1900 წლის 1 იანვრამდე სახელოსნო გამგეობას შემოსავალი ჰქონია: წინა წლების ხარჯს გადარჩენილი—4017 მან. 18 კაპ., ხელოსნებზე დაწესებულ გარდასახადისა და სხვა წყაროებისა 4861 მან. 83 კაპ. სულ 8879 მან. ხოლო ხარჯი სულ 6199 მან. 72 კაპ. დარჩენილა კასაში სულ 2680 მან. 52 კაპ.

შემდეგ წაკითხულ იქმნა ამა წლის ივლისში ტფილისის გუბერნატორის მიწერილობით არჩეულ სარევიზიო კომისიის ვრცელი მოხსენება. როგორც ამ მოხსენებიდგან სჩანს, გამგეობას მეტად აწეწილ-დაწეწილი ჰქონია საქმეები: მაგალითად, არა ჰქონია შემოსავალ-გასავლის წიგნები, სადაც რიგზე და დროზე იყოს აღნიშნული შემოსავალ-გასავალი; არის ისეთი მაგალითიც, რომ ერთ ადგილზედ აღნიშნული შემოსავალი მეორედგანაა ნაჩვენები; დეკემბერში, ან იანვარში დახარჯული ფ[ული] ნაჩვენებია მაისში ან ივნისში. [გ]ამგეობას ისე ცუდად აქვს დაყენ[ებ]ული საქმე, რომ ისიც არ იცის [ზ]ენამ დვილებით, რამდენი ხელოსანი არის ტფილისში; მა[თ]ის ჩვენებით სულ ტფილისში 3291 ხელოსანი უნდა იყოს, ნამდვილად-კი ხელოსანთა და ქარგალთა რიცხვი 10,000-მდეა. შემოსავლის ანგარიშიც არეულია. ფული გამგეობის მიერ ნაჩვენებ ხელოსანთა რაოდენობის მიხედვითაც არ არის მოკრებილი და გამგეობას ამ საქმეშიაც (ფულის მოკრებაში) წესითა და რიგით არ უხელმძღვანელია. ხელოსანთა ყრილობამ დაადგინა: ხელოსნებს გადასახადი თითო მანეთი გამოერთვათ ხოლმე, ხოლო ქარგლებს—თითოს 50 კაპეიკი. გამგეობა-კი თავის ნებით ზოგს 10 კაპ. ართმევდა, ზოგს 29, 40 კაპ. და ზოგს 1 მან. და მეტსაც, და აი ამის გამო, სარევიზიო კომისიის ანგარიშით, ხელოსანთა კასსას ორის წლის განმავლობაში 5175 მანეთი დააკლდა.

გულის წყრომით აღნიშნავს კომისია, რომ სახელოსნო გამგეობა მზრუნველობას არ იჩენს და უანგარიშოდ ხარჯავს ხელოსანთა ქონებას; მაგ. ორის საათის სამუშაოშიაც, რომელიც 3—4 მანეთზედ მეტი არა ღირდა, გამგეობას 68 მან. მიუცია. ამას გარდა მრავალი საბუთი იქმნა წარმოდგენილი სარევიზიო კომისიისაგან იმის დასამტკიცებლად, თუ რამდენად გულცივად და უზრუნველად ეკიდება ხელოსანთა მოურავი ბ-ნი სეროზიანცი თავისს ვალდებულებას: კომისიის აზრით, იგი სულ არა ზრუნავს ხელოსანთა მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის. გამგეობა თვით დეპუტატთა კრების დადგენილებასაც არ ასრულებს. მაგ., ბ-ნ გარჩაკოვის წინადადებით, საზოგადო კრებამ დაადგინა, გადასდოს ყოველ წლობით 500 მან. 50 ხელოსანთა ბავშვების სწავლის ფასად სხვა და სხვა სასწავლებლებში; როდესაც დაეკითხნენ ბ-ნ სეროზიანცს, რატომ არ აასრულეთ ეს დადგენილებაო, პასუხად ის განაცხადა, რომ გუბერნატორმა ნება არ დაგვრთოო, ხოლო როცა მოსთხოვეს ამის საბუთი, ბ-ნმა სეროზიანცმა ვერავითარი საბუთი ვერ წარმოადგინა. უყურადღებოდ არის დატოვებული აგრეთვე ხელოსანთა შეგირდების მდგომარეობაც, რომელნიც ზოგიერთა თვით-ნება ხელოსნების წყალობით შეგირდად ხშირად 7, 8, 10 და მეტ წელიწადსაც არიან ხოლმე და მაინც ვერავითარ რიგიან ცოდნას ვერ იძენენ. მოხსენების ბოლოში კომისია ამბობს, რომ ჩვენის გამგეობის უთაურობით არამც თუ საკუთარი სახლი ვერ შევიძენია, სახელოსნო სკოლა ვერ დავვიარსებია, აგრეთვე, ობლების და გაჭირვებულ ხელოსანთათვის დახმარება ვერ აღმოგვიჩენია, არამედ ხელოსნობაცკი დაეცაო.

დასასრულ დეპუტატთა კრებამ ბ-ნ სეროზიანცის თხოვნით ორი კვირის ვადა მისცა სახელოსნო გამგეობას, რომ მან კომისიის მოხსენების ყოველს მუხლზე თვისი პასუხი წარმოუდგინოს კრებას. ორი საათი მოუნდნენ დეპუტატთა კრების ოქმის შედგენას, მაგრამ მაინც ისე ცუდად და უაზროდ იქმნა შედგენილი, რომ იძულებულნი გახდნენ კრება კვირის, 3 სექტემბრისათვის, გადაედოთ ოქმის შესადგენად. კრება საღამოს 6 საათზედ დასრულდა.

---

## წერილი ახალ-სენაკიდგან.

სწორედ სასაცილო და საარაკო ამბები ხდება ამ ჩვენს კურთხეულს დაბაში. გახშირდა ქურდობა, გახშირდა სახლების ტეხვა, ისე რომ აქაურს ადმინისტრაციასაც აღარ ინდობენ და იმათაც იმ დღეს აყენებენ, რასაც სხვებს. ამ ერთის კვირის განმავლობაში შემდეგი ქურდობა მოხდა: 1) ყარამან ჩაჩიბაიას ფანჯრიდგან შეეპარნენ და რამდენიმე მანეთი მოსტაცეს; 2) მღვდ. რ. კაა—ლისას, რადგანაც კარებიდგან ვერ შესულიყვნენ, გაეტეხნათ ფანჯრები, შესულიყვნენ და 28 მანეთი სტუმრისთვის მოეპარათ; 3) ადგილობრივ ბოქაულს ტ ა—ნს მიუვარდნენ და ის იყო ფულების ჩხრეკას შესდგომოდნენ, რომ ხმაურობაზედ მოსამსახურე გოგოს გაეღვიძებოდა. მაშინვე თურმე ყველა ფეხზედ წამოდგა და ქურდები გაიპარნენ. თან მხოლოდ ერთი საათი წაეღოთ, მაგრამ ფანჯრიდგან გადახტომის დროს იქვე დაეჭვარდნოდათ; 4) ვაჭარს დავით ქოქოსაძეს, საღამოს ათს საათზედ, დახლიდგან ფულიანი ყუთი მოსტაცეს, რომელშიაც 20 მანეთზედ მეტი ყოფილა; 5) აქაურ ერთ მოხელის მოსამსახურესაც დაუპატიჟებელმა სტუმრებმა გაუკეთეს „ვიზიტი“, მოსტაცეს ერთი კარგი ვერცხლის ქამარი; 6) აქაურს სასტუმროს პატრონს თეიმურაზ დაბახუას მოჰპარეს თითქმის ათ თუმნამდე ფული; და 7) ილია მეთუთუნე ბერძენს 320 მან. ნაღდი ფული და დახლის ყუთიც. ნეტავ ვიცოდეთ, აქაური სოფლის ყარაულები რასა ფიქრობენ? ნუ თუ ქუჩაში სეირნობისათვის და ან ძილისთვის აძლევს მათ ჯამაგირს საწყალი დაბა?... რაღა თქმა უნდა, აქაური ადმინისტრაცია ამ ამბავს ჯეროვანს ყურადღებას მიაქცევს.

იმ არჩეულმა კომისიამ, რომელსაც დავალებული ჰქონდა, თუ რა წყარო აქვს ახალ-სენაკს და რითი შეიძლება ხარჯის დაფარვა, უკეთუ მთავრობა ახალ-სენაკს ქალაქად დაამტკიცებდა, უკვე ყოველივე მასალა შეიმუშავა. კომისიის გამოკვლევიდგან აღმოჩნდა, რომ ქალაქის შესანახად ყოველ წლიური შემოსავალი დაბას ექმნება 10,000 მან. ხოლო ხარჯი 8,000 მან. ყოველივე ეს შეიმუშავა კომისიამა და ამ დღეებში დასამტკიცებლად გაიგზავნა, სადაც ჯერ არს..

ახალ-სენაკელი

---

## თეატრის მატიანე

ვისაც-კი ცოტათი მაინც არის გორელებისათვის თვალი უდევნებია და იცის, რა რიგად არის იგი ყოველიფერში უკან ჩამორჩენილი, ის, უეჭველია, სიამოვნებით მიეგებება იმას, რომ კვირას, 20 აგვისტოს, არტილერიის ბრიგადის დარბაზში ქართული სცენის მოყვარე ახალგაზრდობისაგან გორში განზრახულ ქსენონის სასარგებლოდ წარმოდგენილ იქმნა: 1, „ძუნწი“, კომედია 2 მოქმ. გ. ერისთავისა, 2, „ჭკუისა მჭირს“, კომ. 1 მოქმ. ა. ცა-

---

# ფელეტონი

## ბრძენი ვირი
(ძველის-ძველი ამბავი)

### I

ვირი რამ, ერთი ჩოჩორი,
დიდ-ყურა, უგზოდ მყვირალა,
არ ვიცი, სით, როგორ მოხდა,
ასე რამ გაამძვინვარა:
საჯაროდ გამომდგარიყო,
მაღლობიდამა ჰყვიროდა,
თავისა გასადიდებლად,
სიტყვასა როდი ძვიროზდა!
ყროყინით მთა-ბარს აქცევდა:
„ჩემთან მოგროვდით ყველაო,
„საცა რამ ცხოველები ხართ,
„თუ გინდათ თავის შველაო!“
ამ უშველებელს ღრიალზედ
მხეცებმა ცქვიტეს ყურები,
ამბობდნენ: „ჩქარა წავიდეთ
საქმეა დასაშურები.“
მრავალს შიშით და ძრწოლითა
უთახთახებდათ გულები.
„აფრთხილდით, არავინ რა სთქვათ
„იმისი დასაწუნები,
„უცხო რამ მხეცი გვეწვია“...
ტანით ძლივს მოაქვთ სულები.
დაიძრნენ ტყიდამ ნადირნი
ვირის მქუხარეს ხმაზედა,
არ დარჩენილა არც ერთი,
არც მინდვრად, არცა მთაზედა,
უნდა იხილონ დიდ-ყურას
სცნან, მხეცთ იბარებს რაზედა.
მხეცებში არსად მოსჩანდა
ვეფხვი, ლომი და მგელია,
არც დათვი წამოსულიყო
დარბაისლობის მცველია...
ვირის ყროყინზედ ირბინოს
ისე ჭკვა გამოელია?!.
სეირის საყურებლადა
ჯამაათს მოჰყვა მელია,
ვირს ის წინადაც იცნობდა,
დღესაც იმისი მცდელია.

### II

ვირი გორაზედ შემდგარა,
იცქირებოდა გმირულად,
თუმცა-კი ქცევა და სიტყვა
მას მოსდიოდა ვირულად.
ნადირთ ხრო იმის წინაშე
სდგას მოწიწებით, მწირულად.
ბაგე აღაღო ვირული,
ასე დაიწყო ქადაგება:
„გული მომიწყლა, ცხოველნო,
„თქვენმა ტანჯვამ და კვნესამა;
„თქვენ ბატონად და პატრონად
„დღეს მე დამნიშნა ზეცამა...
„დღეიდან უნდა იხაროს
„ვინც აქამომდე ეწამა.
„სჩანს ღვთის ბრძანება ეუწყა
„ვეფხვსა, ლომსა და მგელსაო,
„რომ ჩემსა დაბარებაზედ
„აქ არ მოვიდნენ დღესაო.
„გაიგებთ, მათ როგორც დავსჯი,
„სულ ზურგზედ ვადენ ბდღვერსაო!..
„იმ დღეს-კი კარგად მივწიხლე
„ის თქვენი ლომი ქებული,
„ალმა და დალმა ვათრიე
„მთლად თავ-პირ დასისხლებული.
„მეხვეწებოდა: „ნუ მომკლავ
„თუ ხარო მადლით ცხებული!
„და დღესაც მიტომ მემალვის
„სწორებში გამოკლებული.
„ვეფხვი, მგელი და დათუნა
„ვერ შემომხედვენ შიშითა.
„დიაღ, იციან კარგადა,
„რომ მათ ვჯობივარ ჯიშითა“.
მხეცები გაოცებულნი,
წამოყაყანდნენ „ვიშითა“.
ზოგი ამასაც იძახდა:
„ეგ ხომ ჩვენც კარგად ვიცითა,
„რა საჭიროა ნათქვამი
„არ დაამტკიცო ფიცითა“.
უფროც თავ-ზარი დაეცათ,
შიშით ეკვროდნენ მიწასა,
რაკი ვეფხვ-ლომსაც სწიხლავსო,
ხმას ვინღა გასცემს იმასა.
მხეცთ კვალად ჰსთქვეს: „არ სტყუის,
„ჯერ ხმა როგორი ჰქონია,
„აბა თუ ვისმე მისთანა
„ტყეებში გაგვიგონია?!.
„ყურებიც რამოდენა აქვს,
„დიდი ექნება გონია,
„ბატონად ამოვირჩიოთ,
„ძალიან მოსაწონია!..“
ერთბაშად დაიყრანტალეს
გაიძახოდნენ „ვაშასა“!..
ვინ მისცემს ასეთს დიდებას
თავისს საყმოში ფაშასა!?..

### III

„ჩვენს ბატონს გაუმარჯოსო!“
ერთხმად ჰყვირიან მხეცები.
ამ დროს ტყეს მგელი მოსდევდა
თვალებით დანაცეცები,
მეტად ჰშიოდა, საჭმლისად
ჰსურდა გაეკრა კლანჭია.
მხეცთ ღრიანცელი რა ესმა,
მყისვე იმათკე გასწია,
კუდი მიწისკე დაუშვა,
ცხვირი ცისაკე ასწია
და სწორედ იმ დროს, როდესაც
მხეცნი ვირს სალამს აძლევდნენ,
ყმობის პირობას უდებდნენ,
მოლხენის ცრემლსა აქცევდნენ,
თავს წამოადგა დიდ-ყურას
და დააშტერდა მგლურადა.
იამა ლამის გუშაგსა
და გაუღიმა ძმურადა.
მერე-კი კბილი უღრჭინა
და მიეტია მტრულადა.
მგლის დანახვაზედ მხეცები
გაფრთხნენ-გამოფრთხნენ ტყეშია,
მხეცთა ახალის თავისა
ლეგ-ჩოხას დაჰრჩა ლეშია.
მორთო დიდ-ყურამ ყროყინი,
საცოდაობის ღრიალი,
მეტად ეზარა მგლის სახე,
მისის თვალების ბრიალი.
მუხლთ მოეკვეთა შიშითა
მის ბაქი-ბუქი გაცუდდა.
ავ-ყიამ ყაყრანტო სტაცა,
იქვე ტყის პირას გაგუდა.
თქვენგან არ მიკვირს, ერთს ვირთან
მგლის შვილს მეშველი რად უნდა!..
მელია, მარჯვედ მალული,
ჯირკვთან სიცილით კვდებოდა,
თან კბილებს აკაწკაწებდა,
მგელი რომ ლეშით ძღებოდა.
იცოდა, საკმაო კერძი
იმასაც წილად ჰხვდებოდა;
მგელთან ერთად-კი საუზმე
კარგად არ დაუჯდებოდა...

### IV

ეს რომ ვირებმა გაიგეს,

გარლის და 3 „ო ნბაზი“, ვოდევილი 1 მოქმ. ა. ცაგარლისა. უნდა აღვნიშნოთ აქ, რომ განზრახულ ქსენონის სასარგებლოდ კარგა ხანია იმართება წარმოდგენები და ფულიც გროვდება ადგილობრივ მცხოვრებთა შორის, მაგრამ ჯერ-ჯერობით ვერაფერი მოახერხეს სასურველია, ვისგანაც ჯერ არს, გაზეთის საშუალებით საქვეყნოდ გამოაცხადოს, რამდენია შეგროვილი. წარმოდგენაში მონაწილეობა მიიღო უმეტეს ნაწილად მოსწავლე ახალგაზდობამ. მსახიობთა უმეტესმა ნაწილმა როლი ზეპირიანად არ იცოდა და ამის გამო ანსამბლს ხელს უშლიდნენ. ქალთა შორის მონაწილეობას იღებდნენ ქ-ნნი: ნ. ყორ-შვილი, ნ. ციცაგი და ს. ციცაგი. ამათ პირველად სცენის გამოსვლაზედვე გამოუცდელობა შეეტყოთ, შეკრთნენ, მაგრამ შემდეგში, როდესაც შეეჩვივნენ, მათი ქცევა ლაპარაკი უფრო თამამი იყო. პირველად წარმოდგენილმა, სახელდობრ, „ძუნწმა“, ძალიან უფერულად და უგემურად ჩაიარა, თუმცა უმთავრესი როლი კარაპეტასი ბ. ა. წილკნელმა საკმაოდ კარგა შეასრულა ივანიკას როლის აღმასრულებელი ბ. ლ. კარდანახელიც კარგი იქნებოდა, რომ როლი კარგადა სცოდნოდა; დანარჩენები სუსტობდნენ.

„ჭკუისა მჭირს“ და „თინბაზმა“ ძალიან ცოცხლად ჩაიარეს. გეგონებოდათ, მსახიობნი გამოიცვალნენო. განსაკუთრებით ჩინებულად შეასრულეს თავიანთი როლები „ჭკუისა მჭირს“-ში, გრიქულასი—ბ. ლ. კარდანახელმა, ბუდუნასი—ბ. ა. წილკნელმა და ბოქაულისა—ბ. დ. ცხინვალელმა; ხოლო „თინბაზში“ ქ. ციცაგმა—სონას როლი და ბ. ლ. კარდანახელმა—ტიგრანისი. დანარჩენები საერთო თამაშს ხელს უწყობდნენ. საზოგადოება აღტაცებულის ტაშის ცემით ეგებებოდა.

ხალხი, მიუხედავად კარგის ამინდისა და კვირა დღისა, რამდენიც მოსალოდნელი იყო, იმდენი არ დაესწრო. ერთი ნაწილი საზოგადოებისა სრულიად არ დაესწრო; ალბად იმიტომ, რომ „წვრილები“ თამაშობდნენ.

ორიოდე სიტყვა წარმოდგენის გამგეთა შესახებაც: იყო იმისთანა მაგალითები, რომ ხალხი მოდიოდა, ბილეთის ყიდვა ჰსურდათ, მაგრამ შესავალ კარებში ჭაჭანება არა ვისი სჩანდა. ამ რიგად ხალხი იძულებული იყო, კარგა ხანს ისე ეცადნა, სანამ რომელიმე ღვთისნიერი არ გამოიხმობდა წინა როგში გამოჭიმულს ბილეთების გამყიდველ „ქალბატონს“.

დიდ ნაკლად უნდა ჩაეთვალოთ წარმოდგენის გამმართველთ ის გარემოება, რომ ანტრაქტებზედ არც საკრავი იყო და არც სიმღერა.

წარმოდგენას სულ ორი თუმანი შემოუვიდა.

წელს აქეთაც, როგორც სხვაგან, ძალიან ადრე დაიჭირა გრილი დღეები. ახლო-მახლო სოფლებში ბევრგან კალო ეხლა დაიწყეს და ბევრი ძნაც არის ჯერ კიდევ მინდვრებში შინ მიუტანელი, მაგრამ ამინდი ნებას არ აძლევს დროზედ გალეწონ.

ვანო გიუნაშვილი

## უცხოეთი

**ჩინეთი.** ბერლინიდგან „Neue Freie Presse“-ს დეპეშით ატყობინებენ: „დღემდის რუსეთს ჯერ არც ერთ სახელმწიფოსაგან არ მიუღია იმ წინადადების პასუხი, რომელიც პეკინიდგან ჯარის გაყვანას შეეხება. ზოგმა სახელმწიფომ პეკინში მყოფ თავისს ელჩს მიჰმართა იმის გასაგებად, თუ რა მდგომარეობაშია იქ საქმეები. იმათგან პასუხი სახელმწიფოებს ორ კვირამდე არ მიუღიათ, ამიტომ მანამდე რუსეთის წინადადების გადაწყვეტა შეუძლებელია“.

— ამავე რუსეთის წინადადების შესახებ გაზეთი „Voss. Zeitung“ი სწერს: „რუსეთის წინადადებამ პეკინიდგან ჯარის გაყვანის შესახებ თავისის მოულოდნელობით ყველანი გაანცვიფრა და გააკვირვა. რუსეთის ის სურვილი, რომ პეკინი უცხო-ქვეყნელთა ჯარისაგან განწმენდილ იქმნას, აიხსნება მხოლოდ იმით, რომ რუსეთს საკუთარი ინტერესი აქვს ჩრდილოეთ ჩინეთში და ეს ინტერესი რუსეთისათვის უფრო ძვირფასია, ვიდრე მოკავშირეთა საზოგადო ინტერესი პეკინში. ეს საკუთარი ინტერესები აიძულებენ რუსეთს ყურადღება ჩრდილოეთ-დასავლეთ ჩინეთს მიაქციოს და რაც შეიძლება მალე მოლაპარაკება გამართოს. არც ერთი სახელმწიფო ამ ჟამად არ თანაუგრძნობს რუსეთის ინტერესებს. ხოლო თუ რუსეთმა მაინც წარმოადგინა ისეთი წინადებები, რომელიც მარტო იმისთვისაა სახეირო, აშკარაა რადაც აქვს განზრახული“.

— როგორც რუსულ გაზეთებს ატყობინებენ, გერმანიას სახელმწიფოებისათვის სხვა წინადადება წარუდგენია. გერმანია ურჩევს თურმე სახელმწიფოებს მოკავშირეთა იმ ჯარის ნახევარი, რომელიც ეხლა პეკინშია, ტიან-ძინში გადაიყვანონ და იქ დასტოვონ იმ დრომდე, ვიდრე მოლაპარაკება დასრულდება. ინგლისურმა გაზეთებმა ეს წინადადება ძალიან მოიწონეს.

— ლონდონიდგან „Frankfurter Zeitung“-ს ატყობინებენ: „ყველას სალაპარაკო ისაა, რომ პეკინიდგან ამბები ძალიან ნაკლებად მოდის. „Standard“-ს ატყობინებენ ტიან-ძინიდგან, რომ ამბების გზავნას ჩინეთის ტელეგრაფების ადმინისტრაცია აფერხებს; ვერც ერთი დეპეშა ვერ მიაღწევს ხოლმე ევროპამდე, თუ შანჰაიდგან ან რომელიმე სხვა ნავთ-სადგურიდგან არ არიან გაგზავნილიო. იგივე კორესპონდენტი იუწყება, რომ რუსეთის ჯარის-კაცნი პეკინსა და ტიან-ძინს შუა სატელეგრაფო მავთულებს ანადგურებენო. რუსების ხელშია, სწერს იგივე კორესპონდენტი, ტიან-ძინიდგან პეკინამდე მიმავალი რკინის გზა და ადმირალის სეიმურის მიერ აღებული არსენალი ტიან-ძინში. ამ არსენალში აუარებელი სამხედრო მასალაა. „Daily Teleg.“-ს შანჰაიდგან ატყობინებენ, რომ ლი-ხუნ-ჩანგი მანჯურიის სამ პროვინციას დაჰპირდა რუსეთს, თუ მოკავშირეთა ჯარი პეკინიდგან იქმნება გაყვანილიო. იმავე გაზეთის სიტყვით, ლი-ხუნ-ჩანგს მიუწერია ლონდონში მყოფ ჩინეთის ელჩისათვის: „ჩვენმა პეტერბურგელმა ელჩმა დაარწმუნა რუსეთი, გაიყვანოს თავისი ჯარი პეკინიდგან. თუ თქვენც არ დაარწმუნებთ ინგლისს, ისევე მოიქცეს, როგორც რუსეთი, თქვენი ელჩობა ჩვენთვის საჭირო აღარ იქმნება“.

— „Frankfurter Zeitung“-ს შანჰაიდგან დეპეშით ატყობინებენ: „ლი-ხუნგ-ჩანგმა ქვრივ იმპერატრიცისაგან შემდეგი წერილი მიიღო: „ჩინეთის მთავრობას ზავის ჩამოგდება ჰსურს. მთავრობამ თავისს რწმუნებულებად ლინ-კუნაი და ჩან-გი-ტუნი აარჩია. პრინცი ტუანი და იმისი შვილი ჩვენ არ გამოგვყოლიან სინ-ნან-ფუში. ტუანმა ბევრი საბუთის ქაღალდები წაიღო თან. იგი ბევრ რასმეს დაჰპირდა რუსეთს, თუ ეს უკანასკნელი მანჯურიიდგან ჯარს გაიყვანს და ნიუ ჩვანგს ჩინეთსვე დაუბრუნებს“.

— „რეიტერის სააგენტოს“ ატყობინებენ შანჰაიდგან: „ჩინელთა უმრავლესობა დარწმუნებულია, რომ ჩინელებმა გაიმარჯვესო. გაზეთებშიაც დაწვრილებითაა აწერილი „ვითომდა ჩინელების გამარჯვებანი პეკინსა, ტიან-ძინსა და ტუნჯოუში. ჩინელთა დუქნებში გამოკიდულია საზარელი სურათები, რომლებზედაც ჩინეთის ჯარი მუსრს ავლებს მოკავშირეთა ჯარს. ჩინელებს სჯერათ ეს ამბებიო“.

### ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

როგორც ვუწყით, ჩინეთში ქალები განგებ იმახინჯებენ ფეხებს. პატარა ფეხი იქ სილამაზის ნიშანია, ამიტომ დაბადებიდგანვე ქალს უხვევენ ფეხებს და სხვა საშუალებასაც ჰხმარობენ, რომ როგორმე ფეხი დაუპატარაონ. ზოგს ისე აქვს ფეხი დამახინჯებული, რომ სიარული აღარც-კი შეუძლიანთ. ეს ჩვეულება უძველეს დროიდგან არსებობს ჩინეთში. ერთი ჩინელი ისტორიკოსი შემდეგს მოგვითხრობს ამ ჩვეულების გაჩენის შესახებ. 1100 წლის ქრისტეს დაბადებამდე იმპერატრიცამ ტაკიმ სთხოვა თავის მეუღლეს, გამოეცი კანონი, რომ ყველა ქალები ეცადნენ ჩემსავით პატარა ფეხი იქონიონო. იმპერატორსაც დაუჯერებია სიტყვა და გამოუცია კანონი. მას შემდეგ ჩინელი ქალები ძალად იმახინჯებენ ფეხებს. ფეხების დამახინჯება უფრო მაღალ საზოგადოებაშია გავრცელებული, ისიც ყველგან არა. სოფელში იშვიათად შეჰხვდება კაცი, რომ ქალს ფეხი დამახინჯებული ჰქონდეს. ამ ჩვეულების აღმოფხვრას ბევრნი სცდილობდნენ ჩინეთში, მაგრამ ცდამ ნაყოფი ვერ მოიტანა. დღესაც არსებობს რამდენიმე საზოგადოება, რომელთა უმთავრესს საგანსაც ამ ჩვეულების აღმოფხვრა შეადგენს. განათლებულ ჩინელებს გარდა მისიონერებიც ბევრს ეცადნენ ამისათვის. ამ რამდენისამე წლის წინად ამერიკელმა მისიონერებმა თხოვნა მიართვეს იმპერატორს, რომელშიაც სთხოვდნენ კანონის გამოცემას ფეხების დამახინჯების წინააღმდეგ. მისიონერებმა თხოვნა მშვენიერ პატარა ვერცხლის ყუთში ჩასდეს და ძუნგ ლი-იამენს გადასცეს. რამდენისამე დღის შემდეგ ძუნგ ლი-იამენს შეუთვლია მისიონერებისათვის, რომ იმპერატორი სრულ თავისუფლებას აძლევს ქვეშევრდომთ, ისე მოექცნენ თავიანთ ფეხებს, როგორც თითონა სურთ; რაც შეეხება ვერცხლის ყუთს, როგორც ხელოვნურ ნაწარმოებს, ამ ყუთს საიმპერატორო არქივში შევინახავთო.

* * *

ქ. კელნში (გერმანიაშია) გაუმართავთ ძველად დაბეჭდილ წიგნების გამოფენა. უმთავრესად ამ გამოფენაზედ ის წიგნები შეუკრებიათ, რომლებიც კელნშია გამოცემული. პირველი სტამბა კელნში 1460 წელს იქმნა დაარსებული, ხოლო პირველი წიგნი ამ სტამბაშია დაბეჭდილი იოჰან ხრიზოსტომუსის თხუზულება. დღეს ამ თხუზულებისა მხოლოდ ხუთი ცალი-ღა მოიპოვება; საყურადღებოა ამ გამოფენაზედ მე-15 საუკუნეში გამოცემული დაბადება, მშვენიერის მხატვრობით შემკული. ეს დაბადება დაბეჭდილია ჰენრიხ აუენტალის სტამბაში. აუენტალის სტამბა თავისს დროზედ უპირველეს სტამბად ითვლებოდა. საზოგადოების ყურადღებას იქცევს ამ გამოფენაზედ აგრეთვე ყოველ დღიურ გაზეთის მაგვარი გამოცემანი. ერთ „გაზეთ“-ში აწერილია, გერმანიის იმპერატორის შესვლა იტალიის ქალაქ ბოლონიაში, მეორეში კიდევ—ქალაქ მიუნსტერის აღება და განადგურება 25 მაისს 1535 წელს.

* * *

რუს ბიბლიოგრაფს, ვინმე ლ—ის შეუკრებია ლ. ტოლსტოის ახალის რომანის „Воскресеніе“-ს გამოცემათა მთელი კოლეგცია. ამ ჟამად ბიბლიოგრაფსა აქვს ამ რომანის 28 ცალი სხვა და სხვა ენაზედ გამოცემული: რუსულსა, ინგლისურსა, ფრანგულსა, ნემეცურსა, პოლონურსა, ოსმალურსა, ბოლგარულსა, სერბიულსა, ჰოლანდიურსა, ბერძნულსა, სპარსულსა, იტალიანურსა, ესპანურსა, შვეციულსა, ფინურსა, რუმინულსა, იაპონურსა და სხვა ენაზედ.

* * *

ერთ ნემეცურ გაზეთში ჩამოთვლილია ის ჟურნალ-გაზეთები, რომლებსაც გერმანიის იმპერატორი ვილჰელმი ჰკითხულობს. აი ეს გამოცემანი: „Koln. Zeitung“, „National Zeit.“, „Neueste Nachrichten“, „Kleines Journal“, „Localanzeiger“, Reichsanzeiger“ და Figaro“. ამას გარდა ვილჰელმი ჰკითხულობს ნემეცურსა და ინგლისურს იუმორისტიულ ჟურნალებს. ზემოხსენებული გაზეთი, სადაც ეს ცნობებია დაბეჭდილი, ბოლოში ამბობს: ძალიან ვწუხვართ, რომ იმპერატორი არც ერთს ისეთ გამოცემას არა კითხულობს, რომელიც სოციალურ რეფორმების შემოღებასა ჰქადაგებსო.

## საისტორიო და საბიბლიოგრაფიო წერილები

(წერილი: ოდ)

ხუცური ხელნაწერი № 66 (in folio, ფურც. 505) შეიცავს შრომას სხვა და სხვა ავქსონებისას: ა) ღვთის მეტყველება იოანე დამასკელისა (ფ. 1—133), ბ) კითხვა მიგებანი ათანასი ალექსანდრელისა (ფ. 134—142), გ) სწავლანი სულიერნი წმიდისა გრიგოლი ღუთის მეტყველისანი (143—160), დ) „ასეულები“ წმ. მამისა თალასისი; სულ ოთხი ასეული (161—180), ე) გრიგოლი ღვთისმეტყველის მიერ დაწერილი ბასილი ღვთის-მეტყველის საფლავსა ზედა (180—181), ვ) ქალწულებასა შინა ჭეშმარიტისა უხრწნელებისათვის ბასილი კაბადუკიელ მთავარეპისკოპოსისა (182—236), ზ) ეპისტოლენი წმ. ეგნატი ღმერთ-შემოსილისანი (237—414), ჱ) ეპისტოლე მეფისა მიმართ მორწმუნისა ბერისა იოანიკასი (415—420), თ) ჭეშმარიტი ქრისტიანე გრიგოლ ნოსელას ეპისტოლე (420—483), ი) სამერსოკს, გრიგოლ ნასელის საკითხავი (483—495), ია) აღსარებაჲ მართლისა ქრისტიანობისა, აღწერილი თევდორიტეს მიერ (496—501, იბ) სარწმუნოებისათვის თქმული მაქსიმე აღმსარებლისა (502—504).

გადამსწერნი ამ ვეებერთელა წიგნისა თავისთავს იხსენიებენ სხვა და სხვა ადგილას:

პირველის წერილის ბოლოს (ფ. 133):

შენ ყოველთა შორის პატიოსანო ღირსო და წმიდაო მნათობო მართლ-მადიდებელთაო, დიდო, სიბრძნით აღვსილო, კმამაღლად ერთარსებისა სამებისა მქადაგებელო იოანე დამასკელო, შეამდგომელ ექმენ წინაშე ქრისტესა, შეიწყალე და შეუნდევ ყოველნი მისნი ცოდვანი მონასა ქრისტესსა და მსასოებელსა წმიდისა ღუთის მშობელისა, ძესა ლეონისასა, ყოვლისა საქართველოსა კათალიკოზს პატრიარქს დომენტის, კელმწიფეთ ძესა, რომელმაც აღვაწერინე წმიდაჲ ესე, რომელი ძვრად იპოებოდა—კათილორია—სახსრად სულისა თჳსისათჳს. ღმერთო და წმიდაო ღუთის მშობელო შეიწყალე და შეუნდევ ყოველნი მისნი ცოდვანი ამინ. ქორონიკონსა: ხ უ თ ქრისტეს აქათ ათას შვიდას ათსა.—

დანაშთენი ტექსტი ბოლომდის დაწერილია ელისე საგინაშვილის ხელით:

ფ. 142: ქრისტე, ადიდე ორსავე შინა ცხოვრებასა, სულით და კორციით განაძლიერე და განამტკიცე და დაუმორჩილე ყოველნი მტერნი და მბრძოლნი საქართველოს პატრიარხს ბატონიშვლს ოჳფალთა ოჳფალსა ბატონს დომენტის. ამინ. ცე, მუედ (?) ოჳფალო. ამინ:—და მეცა ცოდვილს საგინაშვილს დიაკონ წოდებულს ელისეს უფალო მეც ტაბლისაგან გარდამოცვივნილისა რათა ნუგეშინის ეცეს სიყმილსა სულისა ჩემისასა.

ფ. 256: ქრისტე, ადიდე ორსავე შინა ცხოვრებასა სულით და კორციით განაძლიერე და განამტკიცე და დაუმორჩილენ ქუეშე ფერკთა მისთა ყოველნი მტერნი და მბრძოლნი პანკრატიონ შარავანდედს იესიან-დავითიან-სოლომონიანს მეფეთ-მეფის ლევანის ძეს კათალიკოზს პატრიარხს დომენტის ამინ:—და მეცა ცოდვილს საგინასშვილს მთავარ-დიაკონს ელისეს შენდობაჲ და კურთხევაჲ ჩემ ზედა, რომლისა ბრძანებითა სრულ ვყავ.

ფ. 414 საგინაშვილი ელისე შენიშნავს, რომ ეს წიგნი კზ̃მა დომენტიმ თავის სათვასით აღმაწერინაო.

ფ. 420 საგინაშვილი თავის თავს უწოდს „მდივან მწიგნობარ-მგალობელმუშაკს“.

ფ. 495: ქრისტე ადიდე ორსავე შინა ცხორებასა პანკრატიონ შარავანდედი საქართველოს კათოლიკოზ პატრიარხი დომენტი, ამინ.—რომელმან თჳსითა საფასითა აღმაწერინა წმიდაჲ ესე წიგნი წმიდის სამებისა-

---

ბევრი იცინეს ძალიან.
რისათვის? ვიტყვი ამასაც,
თუ-კი მსმენელთა სცალიან:
ეს სამგლე ვირი ვირებშიც
თურმე თავობას ჰბედავდა,
თუ არ თივასა, ჩალა-ბზეს
და ნეკერს არა ჰკვნეტავდა;
პატრონის ურგები იყო,
ერთი ზარმაცი, ოჩანი...
როცა პატრონმა აჰკიდის
ქვილი ან შეშა ცოტანი,
ჩაწვის, აკვნესდის, როგორაც
ნაძალადევი მგოსანი.
პატრონი კარგი რამ ჰყავდა,
ვაჟკაცი პატიოსანი:
ბარგს ჰხდიდა, მინდვრად უშვებდა,
ნავარდობს როგორც ფრთოსანი,
გაუტიალა საცოდავს
ბაღ-ბაღჩა, მთელი ბოსტანი
და თან ბრძენობას ჩემობდა,
როგორც საბჭოში ხმოსანი...
ვირებს სულ ამას ურჩევდა:
„ავდგეთ, წავიდეთ ტყეშიო,
„სულით და ხორცით ვიტანჯვით
„ადამიანის ხელშიო.
ვირები უპასუხებდენ: „არა,
„ვერ შევძლებთ მაგასა,
„,ჩვენ ისევ შრომა გვირჩევნავ,
„,ოღონდ-კი ვებნეთ მაგასა,
„,ნამეტურ ზამთრის, ყინვაში
„,ტყე და მინდორში ტანტალსა.
„,შრომა რა სათაკილოა,
„,თითონ კაცებიც ჰშრომობენ,
„,ერთმანერთს თავ-პირს ატვრევენ,
„,რამდენს სისხლს ჰღვრიან, ომობენ“.
ყველასგან მოძულებული
ურჩი განდევნეს კრებითა
და ახლა მხეცებს მიჰმართა,
თავის ვირულის კეფითა.
ისინი თუმც გააბრიყვა,
მაგრამ იმედი წაუხდა,
მგელს ჩაუვარდა პირშია
და საჯიჯგნავად გაუხდა.

V

მხეცებიც ბოლოს ჰკვირობდნენ:
„როგორ გავბრიყვდით ჩვენცაო,
„რაზე ვირს თავს დავისვამდით,
„გაგვიწყრებოდა ზეცაო.
„აი დალახვროს უფალმა
„ის უბედური, ქეცაო!..“
ლომი პირიდამ ცეცხლს ჰყრიდა,
რა გაიგონა ესაო,
კლანჭები მოიმარაგა,
კბილები დაილესაო:
მხეცების წურთვნას შეუდგა
იმავ მეორე დღესაო,
ტყე-ველებიდამ ისმოდა
ნადირთ ოხვრა და კვნესაო.

ვაჟა-ფშაველა

თვის—მე, ცოდვილსა მათ მთავარ-დიაკოს ელისეს საგინაშვილს, ვინც კვლად მიიღოთ ლოცვა ყავთ. დაიწერა ქალაქსა ტენედოს.

მ. ჯანაშვილი

(შემდეგი იქნება).

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

31 აგვისტო

**პეტერბურგი.** მათი იმპერატორებითი უმაღლესობანი უავგუსტოესის შვილებითურთ 29 აგვისტოს სპალში წაბრძანდნენ.

**ლონდონი.** „Times“-ს ატყობინებენ შანხაიდგან: ლიხუნ-ჩანგმა მიჰმმართა იმპერატორსა და იმპერატრიცას პეკინში დაბრუნდნენო.

პეკინიდგან ჯარის გაყვანის საპასუხოდ იაპონიამ განაცხადა, რომ წინააღმდეგი არა ვარ არც ჯარის გაყვანისა და არც სხვა საშუალებისა, რასაც სახელმწიფოთა კრებული სცნობს საჭიროდაო. რადგანაც ჩინეთის სახელმწიფოს გეოგრაფიული მდებარეობა ნებას გვაძლევს დაუყოვნებლივ მივიღოთ სამხედრო ზომები, მზადა ვართ მეტი ჯარი წავიყვანოთო.

პეკინში მყოფმა ჩინეთის ელჩმა აცნობა ლიხუნ-ჩანგს: რუსეთმა იმ იმედით მისცა სახელმწიფოებს პეკინიდგან ჯარის კაყვანის წინადადება, რომ ჩინეთი პირობას დაუდებს იმისას, რომ ჯარის გაყვანის შემდეგ იმპერატორი, იმპერატრიცა და მთავრობა დაუყოვნებლივ პეკინში დაბრუნდებაო.

**პარიჟი.** „ჰავასის სააგენტო“ იუწყება, რომ საფრანგეთის მთავრობამ თანხმობა განაცხადა რუსეთის წინადადებაზედ პეკინიდგან ჯარის წაყვანის შესახებ. რუსეთისა და საფრანგეთის მთავრობანი თანხმანი არიან ამ საქმეში. ელჩებს პიშონსა და გირს, და გენერლებს ფრეისა და ლინევიჩს ებრძანათ, რამ წამს გარემოება ნებას მისცემთ მიიღონ ზომები პეკინიდგან ტიან-ძინში გადასვლისათვის. უთუოდ შეერთებული შტატები და იაპონიაც მიჰბაძავენ რუსეთისა და საფრანგეთის მაგალითსაო.

**ლონდონი.** „Dailu Mail“-ს დეპეშით ატყობინებენ შანჰაიდგან, რომ ცუდის ამინდის გამო მოკავშირეთ გადასდეს პაოტინფუში ჯარის გაგზავნაო.

„Dailu Telegraph“-ს შანჰაიდგან ატყობინებენ, რომ ჩინეთის იმ ჯარიდგან, რომელიც სამის თვის განმავლობაში სამხრეთიდგან პეკინში მყოფ ჩინეთის ჯარის მისაშველებლად იქმნა გაგზავნილი, დარჩა მხოლოდ 13,000 კაციო. ეს ჯარი შანსიში მიდის ქვრივ იმპერატრიცასთან. დანარჩენნი გაიფანტნენო.

**ლორენცო-მარკეზე.** კრიუგერი აქ მოვიდა.

**ტიანძინი.** ქვრივი იმპერატრიცა და იმპერატორი, როგორც პრინცმა ცინმა განაცხადა, კალკანში არიან.

**ვაშინგტონი.** იმპერატორის ბრძანებაში, რომლითაც ლიხუნ-ჩანგს უფლება ეძლევა სამშვიდობო მოლაპარაკებას შეუდგეს, ნათქვამია: „ლიხუნ-ჩანგს, რწმუნებულ ელჩს, ამით სრული უფლება ეძლევა მოლაპარაკება დაიწყოს. მან უნდა სინდისიერად განიხილოს ყველაფერი, რაც კი ყურადღებას მოითხოვს, რადგანაც ჩვენ არ შეგვიძლიან აქიდგან იმის მოქმედებას თვალყური ვადევნოთო“.

**ტიანძინი.** მოკავშირეთა ჯარი, 4000 კაცი, ჯინხაიტიენსა და იტილიეში წავიდნენ, სადაც „დიდის მუშტის“ მომხრენი არიან და საიდგანაც ტიანძინის ოლქს შიში მოელის. ჯარი ორ ნაწილად მიდის, რათა ორსავე ქალაქს დაეცეს.

**ლონდონი.** რობერტსი იუწყება პრეტორიიდგან, რომ ბულლერი კლიპგატში მოვიდაო.

**შანჰაი.** ჩრდილოეთ შანდუნში „დიდი მუშტი“ „დიდის დანის“ საზოგადოებას შეუერთდა. როგორც ისმის, ჩინეთის დარაზმულ ჯარს ძიანსუს ჩრდილოეთით ბრძოლა ჰქონია „დიდ მუშტთან“ ჯარი დამარცხებულა.

**კაპშტადტი.** ბულლერმა, სპიცკოპისაკენ მიმავალმა ხელთ ჩაიგდო ერთი ზარბაზანი და რამდენი ტონი სურსათი. ბურებმა რათა ინგლისელებს არ ჩავარდნოდათ ხელში, კლდიდგან გადააგორეს ერთი დიდი ზარბაზანი, რამდენიმე ტონნი საომარი მასალა და 13 ურემი.

**პეტერბურგი.** „Рус. инв.“-ი იუწყება, რომ გემი „დიმიტრი დონსკოი“, რომელზედაც ელჩი გირსია ოჯახითურთ, 23 აგვისტოს ტაკუდგან გავიდა და 25-ს ნაგასაკში მოვიდაო.

## მადლობის განცხადება

თქვენის გაზეთის შემწეობით ჩვენს გულითად მადლობას ვუცხადებთ იმ პირთა და დაწესებულებათ, რომელთაც ჩვენის ძვირფასის ილიკოს გადაცვალების გამო პირადად, დეპეშით, თუ წერილით სამძიმარი გამოგვიცხადეს.

დედა, მამა, დები და ძმები ილია ლუკას ძის ბახტაძისა (ილ. ხონელისა)

## ს. ქვემო-ჭალის წარმოდგენის ანგარიში

ამ 4—5 წლის წინად ს. ქვემო-ჭალაში გამართულ წარმოდგენიდგან შემოსული 70 მან. 53 კაპეიკი, შემნახველ კასაში შესატანად ბ. ალ. ყაზბეკს გადასცა წარმოდგენების მმართველმა ამხანაგობამ. ეს თანხა ყაზბეგისაგან უკლებრივ მივიღეთ წელს მკათათვეში. თავდაპირველად ეს თანხა გადადებული იყო ამავე სოფელში წიგნთ საცავის დასაარსებლად, მაგრამ რადგანაც მისი დაარსება ჯერ-ჯერობით შეუძლებელია სხვა და სხვა მიზეზებისა გამო, ამიტომ ამხანაგობამ გარდასწყვიტა ეს თანხა სამუდამო სცენის დაარსების საქმეს მოხმარდეს. ამის გამო ილინიშნული ფული წრეულს 6 აგვისტოს ქვემო-ჭალაში გამართულ ქართულ-რუსულ წარმოდგენისთვის დეკორაციების გაახლებას და სხვა ხარჯზედ დავხარჯეთ. ეს წარმოდგენაც ს. ქვემო ჭალაში სამუდამო სცენის დაარსებისათვის იყო გამართული, რომლიდგანაც შემოვიდა: ბილეთების გაყიდვიდგან—106 მ. 90 კაპ., შემოწირულებანი—20 მ. 50 კ., ბუფეტიდგან—16 მ. 40 კ. და სულ 143 მ. და 80 კ. ეს თანხა მიემატა ძველს თანხას, რომელიც შეადგენს 214 მ. 33 კ. 6 აგვისტოს გამართულ წარმოდგენაზედ დაიხარჯა სცენის მოწყობა-გაახლებასა და სხვა წვრილ ხარჯზედ სულ 32 მ. და 48 კაპ. ცოცხალი სურათებისათვის ტანისამოსი, ბილეთები, მარკები, ბუფეტის ხარჯი, განათება და სხ. სულ 44 მ. და 26 კ. და სულ მთელი ხარჯი შეადგენს 76 მ. და 74 კაპ. წმინდა შემოსავალი 137 მ. 59 კაპეიკი, რომელიც ამ ჟამად ჩაბარებული აქვს კნ. ალ. ივ. ფალავანდიშვილისას, უნდა სადმე სასარგებლო და შესანახ ადგილას იქმნას შეტანილი. ამათვე აბარია მთელი სცენის მოწყობილება: ფარდა, კულისები, ოთახი და 18 ნაჭერი ტანისამოსი.

დაბოლოს ჩვენ მოვალეობად მიგვაჩნია გულითადი მადლობა ვუძღვნათ წარმოდგენაში მონაწილეობის მიღებისათვის ქ. ქ. ალექსეევ-მესხიშვილის, ფიცხელაურის, ტხორჟევსკისა და სტრელბიცკის ასულთ და ბ.ბ. ყანჩელს, ამილახვარს, კალაიჯევს, უზნაძეს, ვაჩნაძეს, ჭილაშვილს და აგრეთვე დამსწრე საზოგადოებას, რომელმაც დიდი თანაგრძნობა აღმოგვიჩინა, განსაკუთრებით კი მადლობის ღირსნი არიან კნ. მარიამ ირაკლის ასული ამილახვარისა თავისი შვილებითურთ, რომელნიც აი 5—6 წელიწადია უსასყიდლოდ გვითმობენ წარმოდგენისათვის ადგილსა და მასთან დიდს ხარჯსაც ეწევიან ხოლმე ამის გამო.

ს ქვემო-ჭალაში წარმოდგენების მმართველნი: კნ. ალექსანდრა ივ. ასული ფალავანდიშვილისა და გიორგი ილარიონის ძე ჯანდიერიშვილი

## წერილი რედაქციის მიმართ

უგულითადეს მადლობას ვუცხადებ იმათ, ვინც ჩემდა სასარგებლოდ ს. სურებში (ოზურგეთის მაზრა) წარმოდგენა გამართა და აქედან წმინდა შემოსავალი 19 მან. 51 კ. გადმომცა.

უნივერსიტეტის სტ. ნ. რამიშვილი

—

გულითადს მადლობას ვუცხადებ ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოების სკოლების ინსპექტორს მღვდელ-მონაზონს მამა დავითს, რომელმაც კეთილ ინება და დიდი-ჯიხაიშის უფასო წიგნთ-საცავ-სამკითხველოს ათი მანეთი ფული შემოსწირა. კარგი იქნებოდა მამაძველნი სხვანიც აღმოუჩნდებოდნენ, რადგანაც ამ ჟამად განზრახული გვაქვს წიგნთ-საცავისათვის საკუთარი შენობა შევიძინოთ. შემოწირულება ამ ადრესით შეიძლება გამოიგზავნოს:

Ст. Самтреди. Дидъ-Джихаитской безплатной библіотекѣ, завѣдывающему В. Н. Чомахидзе.

მმართველი სამკითხველოისა ბესარიონ ჩომახიძე

## სასამართლოს ცნობები.

ტფილისის სამოსამართლო პალატაში შემდეგი საქმეებია განსახილველად დანიშნული.

პირველ სისხლის სამართლის დეპარტამენტში:

5 სექტემბერს

ვარდენ კიკოიშვილისა, რომელსაც მკვლელობის ჩადენის განზრახვა ბრალდება.

კონსტანტინე ნიჟარაძისა, რომელსაც სასჯელთა დებ. მე-1270 და 1445 მუხ. აღნიშნულ დანაშაულობის ჩადენის ბრალი ედება.

სიმონ გიორგისძე დანგაძე, მკვლელობის ჩადენა.

ბესარიონ ნიკოლოზის ძის მესხისა, მკვლელობის ჩადენა.

9 სექტემბერს

მიხეილ სიჭინავასი. ყაჩაღობა ბრალდება.

გიორგი მდივნისა, ალექსანდრე სოლომონის ძის კიკნაძისა, ვანო და მალაქია ჭანტურიძის და სხ. სიყალბის ჩადენა ბრალდებათ.

12 სექტემბერს

ივანე დავითის ძის სარაჯაშვილისა და ალექსანდრე მარკოზაშვილისა, რომელთაც სასჯელ. დებ. მე 996 მუხ. აღნიშნული დანაშაულობის ჩადენა ბრალდებათ.

კაცია ციციბავასი, რომელსაც სასჯ. დებ. მე 1647 მუხ. აღნიშნული დანაშაულობის ჩადენის ბრალი ედება.

ტფილისის სამოსამართლო დეპარტამენტის მეორე სისხლის სამართლის განყოფილებაში:

11 სექტემბერს

თავ. შიხი ტუსიშვილისა, ნიკ. ბარათაშვილისა, ოსიტაშვილისა და ტერ-შმოვანოვისა, რომელთაც გაბაშვილის მკვლელობა ბრალდებათ.

ტფილისის ოლქის სასამართლოში:

6 სექტემბერს

ნადვორნი სოვეტნიკის მეუღლის ელისაბედ ჟურულისა, რომელსაც ნატალია მიხეილის ასულის წვალება ბრალდება.

# განცხადებანი

## წინამძღვარიანთ-კარის სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლისაგან

პირველ სექტემბრიდამ პირველ ოქტომბრამდე ამა წლისა წინამძღვარიანთ-კარის სასოფლო სამეურნეო სკოლაში მიიღებიან ჯანმრთელი ყმაწვილები, არა ნაკლებ ათის წლისა, ყველა წოდებისა, ეროვნებისა და სარწმუნოებისა.

ვისაც სურვილი აქვს სკოლაში ყმაწვილი მიაბაროს, იმან უნდა პირად, ანუ წერილით განუცხადოს თავისი სურვილი სკოლის მმართველს, ანუ მზრუნველს ილია ივანეს ძეს წინამძღვრიშვილს (ნოტარიუსი ქალაქ ტფილისში), წარმოადგინოს ყმაწვილის წლოვანების მოწმობა, სინოდის კანტორიდგან მიღებული, ან მღვდლისაგან მიცემული აღმოწერილობა წლოვანების წიგნიდგან, და იმ სკოლის მოწმობა, სადაც ბავშვს უწინ უსწავლია. გამოცდა ყმაწვილებისა მოსამზადებელ კლასის პირველ განყოფილებაში არ იქნება. მხოლოდ ვინც მოსამზადებელ კლასის დანარჩენ განყოფილებაში შესვლას მოინდომებს, იმას უნდა ჰქონდეს შესაფერი მომზადება და სწავლა.

სასწავლო სკოლის კურსს შეადგენს; 1) საღმრთო წერილი, 2) ქართული და რუსული ენები, 3) არითმეტიკა და პრაქტიკული გეომეტრია, 4) სამშობლოს შესწავლა, მოკლე გეოგრაფია რუსეთისა და საზოგადო მიმოხილვა ქვეყნებისა, 5) ბუნების მეცნიერება, 6) სამეურნეო საგნები: მიწის შემუშავება, მებაღობა, მებოსტნობა, ვაზის მოვლა-მოშენება, ღვინის დაყენება, საქონლისა და აბრეშუმის ჭიის მოვლა მოშენება, მეფუტკრეობა და სასოფლო მეურნეობის ანგარიშის ცოდნა, 7) ხატვა, 8) საეკკლესიო და საერო გალობა, 9) სწავლა ხელოსნობისა: დურგლობისა, მჭედლობისა და ჩილინგრობისა (ლესარობისა).

სკოლაში ყმაწვილები უსასყიდლოდ მიიღებენ სწავლას და ყველა სასწავლო ნივთებს, მხოლოდ დედმამამ, ანუ იმათმა მოადგილემ უნდა ყმაწვილს სოფელში ბინა უშოვოს, ჩააცვას და დახუროს.

შორის მხრიდგან მოსულ ყმაწვილებისათვის სოფ. წინამძღვარიანთ-კარში გამართულია სკოლის ხარჯით 30 შეგირდისათვის სადგური. ყველა საქმეს ამ სადგურისას თვით სკოლის კრება განაგებს. თითო შეგირდის შესანახავად დანიშნულია თვეში შვიდი მანეთი. ყმაწვილს დილა-საღამოს მიეცემა სტაქანი ჩაი, ანუ რძე პურით და სწავლის შემდეგ სადილი, ორი კერძი: ხსნილში სახსნილო და მარხვაში სამარხვო. კვირაში ერთხელ ყმაწვილებს საცვალი გამოეცვლებათ.

ვისაც სურს მიაბაროს ყმაწვილი სკოლის სადგურში, იმან უნდა წარმოადგინოს წინათ მთელი წლის შესანახი ფული 84 მანეთი; უკეთუ შეგირდი წლის შესრულებამდე სადგურიდგან გავიდა, მაშინ ეს ფული უკან იმათ დედ მამას აღარ დაებრუნებათ და დარჩება სადგურის სასარგებლოდ.

ყმაწვილს უნდა ჰქონდეს რკინის საწოლი, ქვეშაგები, ექვსი ხელი საცვალი, პირსახოცები, ბალიშის პირები, ზეწრები და სამი ხელი სკოლისათვის დაწესებული ტანსაცმელი: ერთი საზამთრო და ორი საზაფხულო.

---

ერიდეთ! არ მოსტყუვდეთ!!

**ჰიგიენური ბორნო-ტიმოლის საპონი პროვიზორის**

**გ. ფ. იურგენსისა**

აქრობს ჭორფლს, ნასიცხს ყვითელს ლაქებს და სპობს ოფლს. ვურჩევთ, როგორც კეთილ-სუნნელოვანი და მაღალის ხარისხისა, ეს საპონი იხმარონ.

ოქროს მედალი. ლონდონი 1893 წ.

**ფასი თითო ნაჭერისა 50 კაპ., 1/2 ნაჭერი 30 კაპ.**

იყიდება რუსეთის ყველა საუკეთესო სააფთიაქო მაღაზიებსა და აფთიაქებში.

უმთავრესი საწყობები გ. ფ. იურგენსთან მოსკოვში. ю. (48—6.—20)

---

**კანტორა**

**ნოტარიუსის ილია ივანეს ძის წინამძღვრიშვილისა** ღიაა დილის ცხრა საათიდგან ნაშუადღევს სამ საათამდე. კანტორა იმყოფება ველიამინოვის ქუჩაზედ, მეორე სართულში, სახლი № 2. (15—8)

---

**ქალების პროგიმნაზია**

ელენე ბახტაძისა

**დ. ხონში**

ამით აცხადებს, რომ მოსწავლეთა მიღება უმცროს და უფროს მოსამზადებელ პირველ პროგიმნაზიულ და აგრეთვე წელს გახსნილ მეორე პროგიმნაზიულ კლასებში დაიწყება 20 აგვისტოდგან და გაგრძელდება მთელ წლის განმავლობაში. თხოვნები უნდა გამოგზავნონ პროგიმნაზიის უფროსის—ელენე ბახტაძის სახელობაზე. სწავლის საფასური როგორც მოსამზადებელ, ისე პროგიმნაზიულ კლასებში 30 მანეთია წელიწადში. (5—4)

---

მიხეილ ალექსანდრეს-ძე

**ნასიძე**

**15 ივლისიდამ ამა წლისა იცხოვრებს მუდმივად ქ. სიღნაღში.**

შეუდგენს მსურველთ ყველანაირ ქაღალდებს და დაიცავს სისხლის სამართალში მიცემულ პირთ სასამართლოებში.

მთხოვნელებს მიიღებს დილით 8 საათიდამ 12-მდე და საღამოობით 5—7-მდე (30—უ.—19)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 1 го Сентября 1900 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხ. დროებითი რედაქტორი ვ. ა. სულხანიშვილი. გამომცემელი ილია ჭავჭავაძე